დანართი №4

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

საჯარო მმართველობა

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

22.04.2026

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის,საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებითგათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშისშეფასებისპრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეულიმეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი: ნინო

გვარი: ფარსადანიშვილი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	200002120

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	საჯარო მმართველობა
2	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
3	კვალიფიკაციის დონე[2]	მე-8
4	კვალიფიკაციის დასახელება	საჯარო მმართველობის დოქტორი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3]	-
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4]	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	60
9	განხორციელების ადგილი[5]	• ირინა ენუქიძის №3, თბილისი, საქართველო
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული 27.02.2025 № 501409
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	14.02.2025

[1]დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს
[2]ეროვნულიკვალიფიკაციებისჩარჩოსმიხედვით
[3]მასწავლებლისმომზადებისინტეგრირებულისაბაკალავრო-სამაგისტროსაგანმანათლებლოპროგრამისშემთხვევაში
[4]განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)
[5]ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

12	საგანმანათლებლო პროგრამებისაკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	14.02.2026
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	14.02.2032

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამებისაკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლოპროგრამისმიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა		X		
2. სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასებისადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთამიღწევები, მათთანინდივიდუალურიმუშაობა	X			
4. სწავლებისრესურსებითუზრუნველყოფა	X			
5. სწავლებისხარისხისგანვითარებისშესაძლებლობები		X		

შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი[9]

1.1 კომპონენტი
რეკომენდებულია სასწავლო კურსის სილაბუსებში დაიხვეწოს შეფასების კრიტერიუმები და გრადაცია.

1.4 კომპონენტი
რეკომენდებულია, სამომავლოდ მთავრობის შესაბამისი პოლიტიკის დოკუმენტების და სტრატეგიების შესწავლა და პროგრამის მიზნების აღნიშნულ დოკუმენტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

1.4 კომპონენტი
რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააძლიეროს თანამშრომლობა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან იმისათვის, რომ უზრუნველყოს მათი ეფექტური ჩართულობა პროგრამის შეფასების და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავების პროცესში. აღნიშნული მიზნით, მნიშვნელოვანია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჩაატაროს სამუშაო შეხვედრები პროგრამის განხორციელებაში და შეფასების პროცესში ჩართულ პირებთან.

1.5 კომპონენტი
რეკომენდებულია, პროგრამების შემდგომი განვითარების მიზნით ჩატარდეს მნიშვნელოვანი და ყოვლისმომცველი გარე შეფასება, რომელიც გაითვალისწინებს როგორც კლასტერულ, ისე ინდივიდუალურ გარე შეფასებას.

2.1 კომპონენტი
რეკომენდებულია სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურის სიის გადახედვა, რათა უზრუნველყოფილი იყოს რესურსების რელევანტურობა, თანამედროვეობა და შესაბამისობა აკადემიურ სტანდარტებთან.

2.4 კომპონენტი
რეკომენდებულია, გადამოწმდეს სილაბუსის ლიტერატურის სექციაში მითითებული ბმული, რათა დარწმუნდეთ, რომ ის არსებულ რესურსზე მიუთითებს.

5.1 კომპონენტი
რეკომენდებულია, პროგრამაში გათვალისწინებული იყოს საჯარო მმართველობაში კვლევის და თეორიის საბაზისო ცოდნის, ბიუჯეტირების და ფინანსების, საჯარო პოლიტიკის და მმართველობის კურსები.

---

[9] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

5.2 კომპონენტი

რეკომენდებულია, პროგრამაზე დაშვების მოთხოვნები შეესაბამებოდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N141 / ნ ბრძანებას მისი ძალაში შესვლის თარიღის გათვალისწინებით.

5.3 კომპონენტი

რეკომენდირებულია სადოქტორო პროგრამის შემდგომი განვითარებისა და საჯარო მმართველობაში უახლესი სამეცნიერო ცოდნის ჩასართავად, ასევე საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვის მიზნით, რეკომენდებულია ამ პროგრამის შედარება დასავლეთის წამყვან უნივერსიტეტებში არსებულ მსგავს შეთავაზებებთან.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[7]

საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამაზე ჯამში გაიცა 9 რეკომენდაცია, საიდანაც 4 შეეხებოდა პირველი სტანდარტის 1.1 (1 რეკომენდაცია), 1.4 (1 რეკომენდაცია) და 1.5 (2 რეკომენდაცია) კომპონენტებს, 2 შეეხებოდა მეორე სტანდარტის 2.1 (1 რეკომენდაცია) 2.4 (1 რეკომენდაცია) კომპონენტებს და 3 შეეხებოდა მეხუთე სტანდარტის 5.1 (1 რეკომენდაცია), 5.2 (1 რეკომენდაცია) და 5.3 (1 რეკომენდაცია) კომპონენტებს.

უსდ-მ სრულად შეასრულა რეკომენდაციები, კერძოდ პირველ სტანდარტთან მიმართებით, განახლდა საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები, სახელმწიფო პოლიტიკისა და სტრატეგიული პრიორიტეტების გათვალისწინებით, რეკომენდაციაში მოცემული მიმართულებები (კვლევა და თეორია, ბიუჯეტირება და საჯარო ფინანსები, საჯარო პოლიტიკა და მმართველობა) ინტეგრირდა თემატურ ბლოკებში და წარმოდგენილია დისკუსიისა და კვლევითი ანალიზის ფარგლებში. რეკომენდაციის შესაბამისად, გადამოწმდა პროგრამის სილაბუსებში მითითებული ელექტრონული რესურსების ბმულები. რეკომენდაციის შესაბამისად, გადამოწმდა სილაბუსებში მითითებული სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა.

მეორე სტანდარტთან მიმართებით, რეკომენდაციის შესაბამისად, სადოქტორო პროგრამაზე დაშვების მოთხოვნები შესაბამისობაშია მოყვანილი №141/ნ ბრძანების მოთხოვნებთან, ასევე რეკომენდაციის საფუძველზე განხორციელდა სილაბუსებში წარმოდგენილი შეფასების კრიტერიუმებისა და გრადაციის ანალიზი.

მეხუთე სტანდარტთან მიმართებით, რეკომენდაციის ფარგლებში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჩაატარა სამუშაო შეხვედრა და განსაზღვრა პერსონალის ჩართულობის გაძლიერების მექანიზმები, შემუშავდა და დაინერგა კლასტერული პროგრამების გარე შეფასების სტანდარტიზებული ფორმა, ასევე, რეკომენდაციის ფარგლებში, საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამა შედარდა ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის ანალოგიურ პროგრამასთან. ძირითადი პარამეტრები (კრედიტები, მიზნები, სწავლის შედეგები, სწავლა-

[7]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

სწავლებისა და შეფასების მეთოდები) დიდწილად თანხვედრაშია, ხოლო სტრუქტურა და კურსები მეტწილად შესაბამისი.

რჩევ(ებ)ი[8]

- სასურველია, ჩამოყალიბდეს სასწავლო პროგრამების პრაქტიკული კომპონენტის უფრო სტრუქტურირებული და სტანდარტიზებული მიდგომა
- სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამებში გათვალისწინებული იყოს მდგრადობის კომპონენტი, რომელიც ორიენტირებული იქნება სხვადასხვა გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით განზომილებაზე
- სასურველია, გაძლიერდეს და გაფართოვდეს პარტნიორობა საჯარო ორგანიზაციებთან. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია თანამშრომლობითი ღონისძიებების, ერთობლივი პროექტების საშუალებით, რომლებიც ხელს უწყობს საერთო ინტერესებს და აუმჯობესებს სტუდენტების საგანმანათლებლო გამოცდილებას
- სასურველია, შემუშავდეს მემორანდუმების რეგულარული გადახედვის და განახლების გრაფიკი იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მათი დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობა და ასახავდეს ინდუსტრიის მიმდინარე საჭიროებებს. აღნიშნული პროაქტიული მიდგომა ხელს შეუწყობს სასწავლო გეგმაში პრაქტიკული კომპონენტების რელევანტურობის და ეფექტურობის შენარჩუნებას
- სასურველია, გაძლიერდეს დამსაქმებელთა ჩართულობა და სტრუქტურირებული ჩართულობის შესაძლებლობების შესაქმნელად, როგორიცაა: საკონსულტაციო საბჭოები, მოწვეული ლექტორები და ა.შ. გამოყენებულ იქნეს დამსაქმებლების დადებითი უკუკავშირი. დამსაქმებელთა პირდაპირი ჩართულობა ხელს შეუწყობს სასწავლო გეგმაში და კომპონენტებში მათი ხედვების ინტეგრირებას
- სასურველია, ინოვაციური პროექტების შემუშავების მიზნით წახალისდეს დამსაქმებლებთან თანამშრომლობა, რომლებიც შესაძლოა გათვალისწინებულ იქნას სასწავლო გეგმაში
- სასურველია, გაიზარდოს აკადემიური პერსონალის გამოქვეყნებები საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში
- სასურველია, გაიზარდოს სტუდენტების ჩართულობა სამეცნიერო - კვლევით აქტივობებში. სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინიციატივით განხორციელდეს ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის ტრენინგები ხელოვნური ინტელექტის ეფექტურ გამოყენებასთან დაკავშირებით

---

[8]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

- სასურველია, პროგრამების სასწავლო გეგმებში გათვალისწინებული იყოს ხელოვნური ინტელექტის არჩევითი კურსი
- სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამებში გათვალისწინებული იყოს ხელოვნური ინტელექტის წარმატებული გამოყენების შესაძლებლობა
- სასურველია სამომავლოდ მთავრობის შესაბამისი პოლიტიკის დოკუმენტების და სტრატეგიების შესწავლა და პროგრამის მიზნების აღნიშნულ დოკუმენტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა
- სასურველია, სტუდენტების სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობის შეფასების გაუმჯობესების მიზნით უნივერსიტეტმა შეიმუშავოს და შეინარჩუნოს ყოვლისმომცველი სტატისტიკური ჩარჩო. აღნიშნული ჩარჩოს მეშვეობით უნდა ხორციელდებოდეს მონაცემების განაწილება აქტივობის სახის, მონაწილეობის კატეგორიის (მაგ. სემინარები, ონლაინ / პირისპირ ღონისძიებები, სამუშაო შეხვედრები და ა.შ.), სქესის და სხვა შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით, ასევე წლების მიხედვით აღირიცხოს დასწრების მაჩვენებელი დროის მანძილზე დინამიკის მონიტორინგის მიზნით

რეკომენდებულია, უსდ - ს სტანდარტების შესაბამისად უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტების ცნობიერების ამაღლება პლაგიატის დასაშვები მაჩვენებლის შესახებ**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია**[9]

დამატებითი ინფორმაცია[10]

---

[9]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

[10]საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ისგათვალისწინების შესახებ[11]

სტანდარტის დასახელება[12]	**1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**
კომპონენტის დასახელება[13]	**1.1. პროგრამის მიზნები**
რეკომენდაცია I[14]	რეკომენდებულია, სამომავლოდ მთავრობის შესაბამისი პოლიტიკის დოკუმენტების და სტრატეგიების შესწავლა და პროგრამის მიზნების აღნიშნულ დოკუმენტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა
შეფასება	რეკომენდაცია შესრულდა. რეკომენდაციის საფუძველზე, საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები განახლდა სახელმწიფო პოლიტიკისა და სტრატეგიული პრიორიტეტების გათვალისწინებით. ახალი მიზნები ასახავს მტკიცებულებაზე დაფუძნებულ პოლიტიკას, ციფრულ მმართველობას, ინსტიტუციურ რეფორმებსა და მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მნიშვნელობას. ამავე დროს, სწავლის შედეგები ჩამოყალიბდა უფრო ქმედებაზე ორიენტირებულ და გაზომვად ფორმატში, გაძლიერდა აქცენტი დამოუკიდებელ კვლევაზე, პოლიტიკის ანალიზზე, საერთაშორისო დონის სამეცნიერო პროდუქტის შექმნასა და პროფესიულ ეთიკაზე. ცვლილებები უზრუნველყოფს პროგრამის შესაბამისობას ეროვნულ პრიორიტეტებსა და საერთაშორისო ხარისხის სტანდარტებთან.
რჩევა[15]I	-
შეფასება	რეკომენდაცია შესრულდა
მტკიცებულებ(ები)ა	ანგარიში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე; საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამა, სილაბუსები

სტანდარტის დასახელება	**1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის**

[11]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით
[12]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[13]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[14]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[15]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

	შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	**1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი**
რეკომენდაცია II[16]	რეკომენდებულია, პროგრამაში გათვალისწინებული იყოს საჯარო მმართველობაში კვლევის და თეორიის საბაზისო ცოდნის, ბიუჯეტირების და ფინანსების, საჯარო პოლიტიკის და მმართველობის კურსები
შეფასება	რეკომენდაცია შესრულდა. რეკომენდაციაში მოცემული მიმართულებები (კვლევა და თეორია, ბიუჯეტირება და საჯარო ფინანსები, საჯარო პოლიტიკა და მმართველობა) ინტეგრირებულია თემატურ ბლოკებში და წარმოდგენილია დისკუსიისა და კვლევითი ანალიზის ფარგლებში. ისინი არ არის ცალკე კურსებად გამოყოფილი, არამედ გაერთიანებულია „ბლოკ-სემინარში“, რაც შეესაბამება სადოქტორო საფეხურის ლოგიკას და აქცენტს აკეთებს კრიტიკულ აზროვნებაზე, თანამედროვე მეთოდოლოგიებსა და კვლევითი უნარების განვითარებაზე. თემატიკა სრულად მოიცავს საჯარო ფინანსებს, ბიუჯეტირებას, პოლიტიკის ანალიზს, მმართველობის რეფორმებს, ანტიკორუფციულ პოლიტიკასა და ინსტიტუციურ განვითარებას. შეფასების მიდგომები (მრავალწყაროიანი ანალიტიკური ნაშრომები, უცხოენოვანი ლიტერატურის გამოყენება, კრიტიკული ანალიზი) ადასტურებს, რომ საკითხები მუშავდება ღრმა კვლევით-თეორიულ დონეზე. შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულია ინტეგრირებული, ინტერდისციპლინური მოდელით.
რჩევა[17]II	-
შეფასება	რეკომენდაცია შესრულდა
მტკიცებულებ(ები)ა	ანგარიში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე; სილაბუსი „ბლოკ-სემინარი I”.

სტანდარტის დასახელება	**1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**
კომპონენტის დასახელება	**1.5 სასწავლო კურსი/საგანი**
რეკომენდაცია III[18]	რეკომენდებულია, გადამოწმდეს სილაბუსის

[16]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[17]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

	ლიტერატურის სექციაში მითითებული ბმული, რათა დარწმუნდეთ, რომ ის არსებულ რესურსზე მიუთითებს
შეფასება	რეკომენდაცია შესრულდა. რეკომენდაციის შესაბამისად, გადამოწმდა პროგრამის სილაბუსებში მითითებული ელექტრონული რესურსების ბმულები. ყველა ბმული მოქმედია და არსებულ რესურსებზე მიუთითებს.
რჩევა[19]II	-
შეფასება	რეკომენდაცია შესრულდა
მტკიცებულებ(ები)ა	ანგარიში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე; საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამა, სილაბუსები

სტანდარტის დასახელება	**1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**
კომპონენტის დასახელება	**1.5 სასწავლო კურსი/საგანი**
რეკომენდაცია II[20]	რეკომენდებულია სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურის სიის გადახედვა, რათა უზრუნველყოფილი იყოს რესურსების რელევანტურობა, თანამედროვეობა და შესაბამისობა აკადემიურ სტანდარტებთან
შეფასება	რეკომენდაცია შესრულდა. რეკომენდაციის შესაბამისად, გადამოწმდა სილაბუსებში მითითებული სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა, რესურსების რელევანტურობის უზრუნველსაყოფად.
რჩევა[21]II	-
შეფასება	რეკომენდაცია შესრულდა
მტკიცებულებ(ები)ა	ანგარიში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე; საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამა, სილაბუსები

სტანდარტის დასახელება	**2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება,**

[18]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[19]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[20]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[21]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

	პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	**2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები**
რეკომენდაცია II[22]	რეკომენდებულია, პროგრამაზე დაშვების მოთხოვნები შეესაბამებოდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N141/ნ ბრძანებას მისი ძალაში შესვლის თარიღის გათვალისწინებით
შეფასება	რეკომენდაცია შესრულდა. რეკომენდაციის შესაბამისად, სადოქტორო პროგრამაზე დაშვების მოთხოვნები შესაბამისობაშია მოყვანილი №141/ნ ბრძანების მოთხოვნებთან.
რჩევა[23]II	-
შეფასება	რეკომენდაცია შესრულდა
მტკიცებულებ(ები)ა	ანგარიში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე; საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამა.

სტანდარტის დასახელება	**2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**
კომპონენტის დასახელება	**2.4. სტუდენტის შეფასება**
რეკომენდაცია II[24]	რეკომენდებულია სასწავლო კურსის სილაბუსებში დაიხვეწოს შეფასების კრიტერიუმები და გრადაცია
შეფასება	რეკომენდაცია შესრულდა. რეკომენდაციის საფუძველზე განხორციელდა სილაბუსებში წარმოდგენილი შეფასების კრიტერიუმებისა და გრადაციის ანალიზი, მკაფიო ინდიკატორების, დიფერენცირებულ ქულათა განაწილებისა და გამჭვირვალე გრადაციის უზრუნველსაყოფად. ყველა კომპონენტი განსაზღვრულია გაზომვადი კრიტერიუმებითა და ქულათა მინიჭების ლოგიკით, რაც უზრუნველყოფს ობიექტურობასა და პროგნოზირებადობას.
რჩევა[25]II	-
შეფასება	რეკომენდაცია შესრულდა
მტკიცებულებ(ები)ა	ანგარიში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე;

[22]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[23]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[24]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[25]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

	საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამა, სილაბუსები

სტანდარტის დასახელება	**5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**
კომპონენტის დასახელება	**5.1. შიდა ხარისხის შეფასება**
რეკომენდაცია II[26]	რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააძლიეროს თანამშრომლობა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან იმისათვის, რომ უზრუნველყოს მათი ეფექტური ჩართულობა პროგრამის შეფასების და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავების პროცესში. აღნიშნული მიზნით, მნიშვნელოვანია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჩაატაროს სამუშაო შეხვედრები პროგრამის განხორციელებაში და შეფასების პროცესში ჩართულ პირებთან
შეფასება	რეკომენდაცია შესრულდა. რეკომენდაციის ფარგლებში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჩაატარა სამუშაო შეხვედრა და განსაზღვრა პერსონალის ჩართულობის გაძლიერების მექანიზმები. შედეგად გაიმართა ანალიტიკური შეხვედრები, განხორციელდა სილაბუსების კოლეგიალური განხილვა და შეიქმნა თვითშეფასების სამუშაო ჯგუფი. მიღწეული შედეგები მოიცავს: საშუალო ჩართულობა – 20.9%, ინიციირებული 21 წინადადება, განხორციელებული ცვლილებები – 70%, განახლებული 11 სილაბუსი და სტუდენტთა კმაყოფილების 2%-იანი ზრდა.
რჩევა[27]II	-
შეფასება	რეკომენდაცია შესრულდა
მტკიცებულებ(ები)ა	ანგარიში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე; ანგარიში პერსონალის ჩართულობის შესახებ https://gruni.edu.ge/main/news/1766034379

სტანდარტის დასახელება	**5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**
კომპონენტის დასახელება	**5.2. გარე ხარისხის შეფასება**

[26]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[27]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

რეკომენდაცია II[28]	რეკომენდებულია, პროგრამების შემდგომი განვითარებისთვის მნიშვნელოვანი და ყოვლისმომცველი გარე შეფასება, რომელიც მოიცავს როგორც კლასტერზე დაფუძნებულ, ისე ინდივიდუალურ გარე შეფასებას
შეფასება	რეკომენდაცია შესრულდა. რეკომენდაციის საფუძველზე შემუშავდა და დაინერგა კლასტერული პროგრამების გარე შეფასების სტანდარტიზებული ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს შეფასებას კლასტერულ ჭრილში. იგი მოიცავს მიზნების, სწავლის შედეგების, სასწავლო გეგმებისა და კვლევითი კომპონენტების სიღრმისეულ ანალიზს, ქულათა სისტემასა და რეკომენდაციების ფორმულირებას. ინსტრუმენტი ხელს უწყობს პროგრამებს შორის კავშირის შეფასებას და გარე შედეგების გამოყენებას შემდგომი განვითარებისათვის. პროგრამა დადებითად შეფასდა გარე შეფასების ექსპერტთა მხრიდან.
რჩევა[29]II	-
შეფასება	რეკომენდაცია შესრულდა
მტკიცებულებ(ები)ა	ანგარიში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე; გარე კლასტერული შეფასების ფორმა. გარე ექსპერტის შეფასება (კლასტერული). გარე ექსპერტის შეფასება (ინდივიდუალური)

სტანდარტის დასახელება	**5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**
კომპონენტის დასახელება	**5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება**
რეკომენდაცია II[30]	რეკომენდირებულია სადოქტორო პროგრამის შემდგომი განვითარებისა და საჯარო მმართველობაში უახლესი სამეცნიერო ცოდნის ჩასართავად, ასევე საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვის მიზნით, რეკომენდებულია ამ პროგრამის შედარება დასავლეთის წამყვან უნივერსიტეტებში არსებულ მსგავს შეთავაზებებთან

[28]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[29]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[30]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

შეფასება	რეკომენდაცია შესრულდა. რეკომენდაციის ფარგლებში, საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამა შედარდა ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის ანალოგიურ პროგრამასთან. ძირითადი პარამეტრები (კრედიტები, მიზნები, სწავლის შედეგები, სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდები) დიდწილად თანხვედრაშია, ხოლო სტრუქტურა და კურსები -მეტწილად შესაბამისი. მთავარი განსხვავება გამოიკვეთა აქცენტებში: ჯორჯ ვაშინგტონის პროგრამაში ძლიერია მათემატიკური მოდელირება, ხოლო გრუნის პროგრამაში მეტი ყურადღება ეთმობა კვლევით კომპონენტს.
რჩევა[31]II	-
შეფასება	რეკომენდაცია შესრულდა
მტკიცებულებ(ები)ა	ანგარიში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე; ანალოგიურ უცხოურ პროგრამასთან შედარება.

თანდართული დოკუმენტაცია[32]

ექსპერტის ხელმოწერა

[31]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[32]თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა